შპს მისო კავკასიის მიკრო კრედიტი ს/კ 405001019
ლიკვიდატორი

მის: ქ.თბილისი, მურმან ლებანიძის ქ.N19

20/05/2019 N 0815

შპს მისო „კავკასიის მიკრო კრედიტი“-ს
განცხადება

საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2019 წლის 06 მაისის N876 განკარგულებით დაწყებულია შპს მისო „კავკასიის მიკრო კრედიტი“-ს (ს/კ 405001019) ლიკვიდაციის პროცესი. ამავე განკარგულების საფუძველზე ლიკვიდატორად დაინიშნა გიორგი ნაროუშვილი (პ/ნ 19001028319).

პირებს, რომლებსაც გააჩნიათ რაიმე სახის მოთხოვნა შპს მისო „კავკასიის მიკრო კრედიტი“-ს მიმართ, წინამდებარე წერილის გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში შპს მისო „კავკასიის მიკრო კრედიტი“-ს ლიკვიდატორს გიორგი ნაროუშვილს (პ/ნ 19001028319) შემდეგ მისამართზე: მის: ქ. თბილისი, მურმან ლებანიძის ქუჩა 19, ტელ: 568 16 17 26 **<u>უნდა წარმოუდგინონ შემდეგი დოკუმენტები:</u>**

ფიზიკური პირების შემთხვევაში:

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ორგანიზაციის მიმართ არსებული მოთხოვნის ოდენობა და მოთხოვნის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები.

იურიდიული პირის შემთხვევაში:

- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
- ორგანიზაციის მიმართ არსებული მოთხოვნის ოდენობა და მისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები.

ლიკვიდატორი
გიორგი ნაროუშვილი

LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA

Digitally signed by LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA
DN: cn=LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA, 2.5.4.97=NTRGE-203862622, o=[illegible], c=GE
Date: 2019.05.22 17:04:02 +04'00'